| ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან                |             |              |
| ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა/რეალიზაცია | (1,798,483) | (628,175)    |
| გაცემული სესხის დაფარვა                                             | 3,705,166   | 5,064,924    |
| საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები          | 1,906,683   | 4,436,749    |
| ფულადი სახსრების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან                   |             |              |
| მიღებული სესხების ზრდა                                              | (12,558)    | 4,635,000    |
| საწესდებო კაპიტალის შემცირება/(ზრდა)                                | -           | 9,765,468    |
| საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები          | (12,558)    | 14,400,468   |
| უცხოური ვალუტის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებზე                    | (29,930)    | (54,842)     |
| წმინდა მატება/კლება პერიოდის განმავლობაში                           | 741,437     | 238,948      |
| ნაშთი პერიოდის დასაწყისში                                           | 326,470     | 87,522       |
| ნაშთი პერიოდის ბოლოს                                                | 1,067,907   | 326,469      |

დამტკიცებული და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 28 ნოემბერს.

ვეფხვია დვალა

დირექტორი

მედეა ერაძე

მთავარი ბუღალტერი

## 1. ანგარიშის წარმდგენი პირი

### ორგანიზაცია და საქმიანობა

„ფინსერვისი XXI“ (შემდგომში „ჯგუფი“) არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. „ჯგუფი“ დაარსდა 2004 წლის 4 მაისს. მისი იურიდიული მისამართია ჭავჭავაძის გამზ. №39ა, თბილისი, საქართველო.

ჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საკუთარი ან იჯარით აღებული შენობების გაქირავება და მართვა, მომსახურების გაწევა, სესხების გაცემა.

ჯგუფის კაპიტალის 100%-ის მფლობელი არის ვიზელია ენთერპრაზის ლიმიტედ (სარეგისტრაციო ნომერი 33,836). ჯგუფის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა უტა ივანიშვილი, ბიძინა ივანიშვილის ვაჟი.

ქვემოთ ჩამოთვლილი ჯგუფის წევრები არიან წარმოდგენილი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, ყოველი მათგანი საქმიანობას წარმართავს საქართველოს ტერიტორიაზე.

| დასახელება      | ID #      | მფლობელობა | სარეგისტრაციო თარიღი |
|-----------------|-----------|------------|----------------------|
| სს რეა ქართუ    | 204876198 | 100%       | 01-07-96             |
| შპს რივიერა XXI | 405106326 | 100%       | 22-06-15             |

სს „რეა ქართუ“-ს რეგისტრაციის მისამართია ქ.თბილისი, ვაკე საბურთალოს რაიონი, დაბა წყნეთი, არსენას ქ.10, ხოლო შპს „რივიერა XXI“-ის მისამართი იგივეა, რაც მშობელი კომპანიის რეგისტრაციის მისამართი.

## 2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასების მეთოდების შეჯამება

### მომზადების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (ფასს მსს-ს) შესაბამისად (გადახედილი 2015 წელს), რომელიც ძალაშია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების პრინციპის საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ქვემოთ წარმოდგენილი სააღრიცხვო პოლიტიკა სხვა პრინციპს ითვალისწინებს.

ჯგუფი მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს ეკონომიკური შინაარსის მიხედვით ხარჯების კლასიფიკაციას. ჯგუფს სჯერა, რომ ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს მიაწვდის უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგან საუკეთესოდ ასახავს თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით.

### ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“), რომელიც ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს.



## შემოსავლები

### (ა) საიჯარო შემოსავალი

საიჯარო შემოსავალი აღიარდება წრფივი მეთოდით ყოველთვიურად, ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

### (ბ) შემოსავალი კომუნალური და სხვა მომსახურების გაწევიდან

ჯგუფი შემოსავალს მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. თითოეულ კონტრაქტთან დაკავშირებით საწარმო ახდენს: ხელშეკრულების იდენტიფიცირებას, ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებებს; განსაზღვრავს გარიგების ფასს, რომელიც ითვალისწინებს ცვლადი ანაზღაურების თანხისა და ფულის დროითი ღირებულების შეფასებებს; გარიგების ფასს ანაწილებს თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე განცალკევებით გასაყიდი შედარებითი ფასის საფუძველზე; და აღიარებს ამონაგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც თითოეული შესრულების ვალდებულება დაკმაყოფილებულია იმ გზით, რომელიც ასახავს დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემას მომხმარებელზე.

### (გ) საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი აღიარდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

### ხარჯები

ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, როდესაც შესაძლებელია დანახარჯის თანხის საიმედოდ შეფასება და მოსალოდნელია ჯგუფიდან ეკონომიკური სარგებლის გადინება.

## უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის. ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

|                                                    | დოლარი | ევრო   |
|----------------------------------------------------|--------|--------|
| გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 2.6894 | 2.9753 |
| გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 2.7020 | 2.8844 |

## მოგების გადასახდი

ჯგუფი მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიურობიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

### სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ხარჯის დასადგენად გამოიყენება საშუალო შეწონილი მეთოდი. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან და მის არსებულ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. დასრულებულ და მიმდინარე პროექტების ღირებულება მოიცავს სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულებას, პირდაპირ სახელფასო და სხვა ხარჯებს გარდა მიღებული სესხებისა. სარეალიზაციო ღირებულებად მიჩნეულია ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული აქტივის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული შეფასებითი დანახარჯები.

### ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება. ჯგუფი ძირითად საშუალების თავდაპირველი აღიარებისას აფასებს თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან დაკავშირებულ ყველა პირდაპირ ხარჯს. თუ გადახდა გადავადებულია და საკრედიტო პერიოდი აღემატება სტანდარტულ პერიოდს, ძირითადი საშუალებების თვითღირებულება განისაზღვრება სამომავლო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით.

თავდაპირველი აღიარების შემდგომი შეფასება ხდება თვითღირებულების მოდელით.

ძირითადი საშუალებების შეძენის შემდგომი დანახარჯები ემატება ამ აქტივის ღირებულებას ან აღიარდეს ცალკე აქტივად, თუ მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და საწარმოსათვის შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალებებისათვის ჯგუფი იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს, რაც გულისხმობს აქტივის თვითღირებულების ან გაუფასურებული ღირებულების განაწილებას აქტივის სასარგებლო მომსახურების მთელი ვადის მანძილზე.

ძირითადი საშუალებების ცვეთის თანხა ნაწილდება, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგნაირად:

|                          |             |
|--------------------------|-------------|
| მიწა                     | არ იცვითება |
| შენობა - ნაგებობები      | 40 წელი     |
| მანქანა-დანადგარები      | 3-30 წელი   |
| ოფისის აღჭურვილობა       | 2-15 წელი   |
| ავეჯი                    | 3-15 წელი   |
| სატრანსპორტო საშუალებები | 10-20 წელი  |
| ხელოვნების ნიმუშები      | არ იცვითება |
| მცენარეები და ცხოველები  | 3-15 წელი   |

სხვა ძირითადი საშუალებები

3-15 წელი

თუ არსებობს ძირითადი საშუალებების ცვეთის განაკვეთის, სასარგებლო მომსახურების ვადის ან ნარჩენი ღირებულების მნიშვნელოვანი ცვლილების ინდიკაცია, ახალი მოლოდინების ასახვის მიზნით, ცვეთის დარიცხვის ცვლილება აისახება პერსპექტიულად.

ყოველი პერიოდის ბოლოს ჯგუფი აფასებს გაუფასურების ინდიკატორებს, რათა უზრუნველყოს, რომ აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახოს ანაზღაურებად ღირებულებაზე მეტი თანხით. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება აქტივის, ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი თანხით.

საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება მეტია მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებაზე. გაუფასურების ზარალი აღიარდება შესაბამის პერიოდის მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების აღიარების შეწყვეტა ხდება აქტივის გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობით. შედეგი აღიარდება იმ პერიოდის მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, რომელშიც ადგილი ქონდა აღიარების შეწყვეტას.

ხელოვნების ნიმუშები. ხელოვნების ნიმუშები, რომლებიც გამოიყენება ძირითად საქმიანობაში აღირიცხება, როგორც ძირითადი საშუალება, ისტორიული ღირებულებით. ხელოვნების ნიმუშებს ცვეთა არ ერიცხება.

ცხოველები და მცენარეები. ცხოველები და მცენარეები რომლებიც არ გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში, აღირიცხება, როგორც ძირითადი საშუალება, ისტორიული ღირებულებისა და დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ხარჯების სხვაობით. მათი სასარგებლო მომსახურების ვადა არის 3-15 წელი. იმ შემთხვევაში, თუ შეიმჩნევა სასარგებლო მომსახურების ვადაში ან სარეალიზაციო ღირებულებაში არსებითი ცვლილება, ცვეთის კორექტირება ხდება პერსპექტიულად.

### არამატერიალური აქტივები

საოპერაციო კომპიუტერული პროგრამები წარმოდგენილია თვითღირებულებასა და დაგროვილ ამორტიზაციას, ასევე, არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების რეზერვს შორის სხვაობით. ამორტიზაცია ხდება მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების თხუთმეტ წლამდე ვადის განმავლობაში, წრფივად წლიური 7%-იანი განაკვეთით. თუ არსებობს აქტივის ამორტიზაციის განაკვეთის, სასარგებლო მომსახურების ვადის ან ნარჩენი ღირებულების მნიშვნელოვანი ცვლილების ნიშანი, ახალი მოლოდინების ასახვის მიზნით, ამორტიზაციის დარიცხვის ცვლილება აისახება არარეტროსპექტიულად.

### არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გაუფასურების ინდიკაცია. თუ ამგვარი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა აფასებს აქტივის (აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის ნარჩენ ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება არის უფრო მცირე, აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

თუ არაფინანსური აქტივის, გარდა გუდვილისა, გაუფასურების ზარალი მცირდება, აქტივის (აქტივთა ჯგუფის) საბალანსო ღირებულება იზრდება ახალ მოსალოდნელ ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ არაუმეტეს იმ ღირებულებისა, რომელიც ამ აქტივს ექნებოდა, რომ არ მომხდარიყო ამ აქტივისათვის (აქტივთა ჯგუფისათვის) გაუფასურების ზარალის აღიარება წინა წლებში. გაუფასურების ზარალის შემცირება აღიარდება შესაბამისი პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

### ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი შეფასება. ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულების პირველადი შეფასება ხდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით), თუ შეთანხმება თავისი არსით არ წარმოადგენს ფინანსურ ოპერაციას ჯგუფისთვის. შეთანხმება ფინანსურ ოპერაციად მიიჩნევა:

- დაფინანსება ხდება ისეთი საპროცენტო განაკვეთით, რომელიც არ არის საბაზრო განაკვეთი;
- თუ გადახდა გადავადებულია ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით.

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ჯგუფი ფინანსური აქტივს ან ფინანსური ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალს ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

შემდგომი შეფასება. სავალს ინსტრუმენტების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

სავალს ინსტრუმენტები რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შემდგომი შეფასება ხდება გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას.

თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურება. ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, ჯგუფი დაუყოვნებლივ აღიარებს გაუფასურების ზარალს მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.



ფინანსური აქტივების გაუფასურების ობიექტური ფაქტორები ჩამოთვლილია ქვემოთ:

- მსესხებლის მნიშვნელოვანი ფინანსური სიძნელეები;
- ხელშეკრულების პირობების დარღვევა, მაგალითად, პროცენტის ან ძირი თანხის გადაუხდელობა, ან ვადაგადაცილება;
- ჯგუფი, დებიტორის ფინანსურ სიძნელეებთან დაკავშირებული ეკონომიკური ან იურიდიული მიზეზების გამო, დებიტორს სთავაზობს ისეთ დათმობებს, რომლებსაც სხვა შემთხვევაში არ შესთავაზებდა;
- როდესაც მოსალოდნელი გახდება, რომ დებიტორთან დაკავშირებით დაიწყება გაკოტრების, ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის პროცესი; ან
- ობიექტური ნიშნების არსებობა, რომლებიც იმაზე მიუთითებს, რომ შემცირდა ფინანსური აქტივების ჯგუფთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადები მათი საწყისი აღიარების შემდეგ, თუმცა ამგვარი შემცირების ოდენობის განსაზღვრა ჯგუფში შემავალი ცალკეული ფინანსური აქტივისთვის ჯერჯერობით შეუძლებელია. ამგვარ ნიშნებს განეკუთვნება, მაგალითად ქვეყნის ან რეგიონის არახელსაყრელი ეკონომიკური პირობები, ან დარგში მომხდარი არახელსაყრელი ცვლილებები.

გაუფასურების მაჩვენებელი შესაძლოა იყოს სხვა ფაქტორებიც, რაც აღწერილი არ არის ამ სააღრიცხვო პოლიტიკაში მაგრამ გულისხმობს ჯგუფისთვის უარყოფითი ეფექტის მქონე მნიშვნელოვან ცვლილებებს ტექნოლოგიურ, საბაზრო, ეკონომიკურ ან სამართლებრივ გარემოში, სადაც მსესხებელი ეწევა საქმიანობას.

ფული და ფულის ექვივალენტები. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

#### **ანარიცხები და პირობითი აქტივები/ვალდებულებები**

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ როდესაც, ჯგუფს წარსული მოვლენების შედეგად სააღრიცხვო პერიოდისათვის აქვს ვალდებულება. შესაძლოა ჯგუფის მიმართ გაჩნდეს მოთხოვნა, რომ გადაიტანოს თავისი ეკონომიკური სარგებელი და ვალდებულების მოცულობა შესაძლოა შეფასდეს საიმედოდ. ანარიცხები იზომება საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით ვალდებულების შესასრულებლად საჭირო მოცულობის დღევანდელი ღირებულებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და კონკრეტული ვალდებულების რისკებს. ანარიცხების ზრდა, დროის გასვლის გამო, აღიარდება როგორც საპროცენტო ხარჯი. ანარიცხების აღიარება არ ხდება მომავალ საოპერაციო დანაკარგებზე.

პირობითი ვალდებულებები და აქტივები არ აღიარდება.

#### **მფლობელთა კაპიტალი**

ჯგუფის კაპიტალი განისაზღვრება ჯგუფის მფლობელის ფულადი შენატანებით ჯგუფის კაპიტალში.

## დივიდენდის განაწილება

დივიდენდების კაპიტალში აღიარება ხორციელდება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

მიღებული სააღრიცხვო გადაწყვეტილებები და შეფასებები შეესაბამება რეალურ შედეგებს.

## კონსოლიდაციის საფუძველი

### შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანია ეწოდება იმ საწარმოს, სადაც მშობელ კომპანიას გააჩნია ხმების რაოდენობის ნახევარზე მეტი ან შესწევს უნარი აკონტროლოს ამ კომპანიის ოპერაციები და ფინანსური აქტივები. ამ შემთხვევაში ხდება კონსოლიდაცია. შვილობილი კომპანიების კონსოლიდაცია ხდება იმ დღიდან, როდესაც მშობელ კომპანიაზე გადავიდა კონტროლი და წყდება იმ დღეს, როდესაც მშობელი კომპანია კარგავს ამ კონტროლს. ყველა შიდა-ჯგუფური ტრანზაქცია და ნაშთი ამ კომპანიებს შორის ელიმინირდება სრულად.

შვილობილი კომპანიის შემენის აღსარიცხავად გამოიყენება შემენის მეთოდი. შესყიდული აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად განისაზღვრება მათი რეალური ღირებულებით შესყიდვის თარიღისთვის. თუ შესყიდვის ღირებულება აჭარბებს კომპანიის იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების რეალურ ღირებულებას, მაშინ ხდება გუდვილის აღიარება. თუ შესყიდვის ღირებულება ნაკლებია კომპანიის რეალურ ღირებულებაზე, მაშინ ეს სხვაობა აღიარდება პირდაპირ კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

უმცირესობის წილი არის წილი შვილობილ კომპანიაში, რომელიც არ ეკუთვნის მშობელ კომპანიას. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არსებული უმცირესობის წილი წარმოადგენს შვილობილი კომპანიის უმცირესობაში მყოფი აქციონერების წილის ღირებულებას. ჯგუფი არამაკონტროლებელ წილს აფასებს შვილობილის წმინდა აქტივების პროპორციული წილის მიხედვით.

ჯგუფის შიგნით მომხდარი წილების ცვლილებები, რომლებიც არ იწვევს კონტროლის დაკარგვას აღირიცხება როგორც ტრანზაქცია ჯგუფის წევრებს შორის. ჯგუფის და არამაკონტროლებელი წილების საბალანსო ღირებულება კორექტირდება იმის შესაბამისად, თუ როგორ შეიცვალა მფლობელების წილი შვილობილებში. ნებისმიერი სხვაობა მიღებული კომპენსაციის სამართლიან ღირებულებასა და არამაკონტროლებელი წილის ნაშთის ცვლილებას შორის, აღიარდება პირდაპირ კაპიტალის მუხლში რომელიც მიეკუთვნება მშობელი კომპანიის მფლობელებს.

## 3. ამონაგები

|                                             | 2023             | 2022             |
|---------------------------------------------|------------------|------------------|
| ამონაგები ქონების იჯარით გაცემიდან          | 6,116,949        | 5,940,678        |
| ამონაგები კომუნალური მომსახურების გაწევიდან | 2,820,512        | 2,684,303        |
| ამონაგები მასალების რეალიზაციიდან           | 285,458          | 624,109          |
| ამონაგები მომსახურების გაწევიდან            | 11,241           | 265,259          |
| <b>სულ</b>                                  | <b>9,234,161</b> | <b>9,514,349</b> |

## შპს „ფინსერვისი-XXI“ ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ქართულ ლარში

ამონაგები ქონების იჯარით გაცემიდან მიღებულია დაკავშირებულ მხარეზე უძრავი ქონების იჯარით გაცემის შედეგად. დეტალები უძრავი ქონების შესახებ იხილეთ განმარტებითი შენიშვნა 9-ში ძირითადი საშუალებები.

ამონაგები მომსახურების გაწევიდან შეიცავს საკვებით მომსახურებას, რომლის თვითღირებულებაც 2023 წლის განმავლობაში შეადგენდა 0 ლარს (2022: 208,659 ლარს).

### 4. საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება/(ზარალი)

|                                        | 2023             | 2022               |
|----------------------------------------|------------------|--------------------|
| საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსავალი | 4,592,052        | 809,118            |
| საკურსო სხვაობიდან მიღებული ხარჯი      | (4,912,218)      | (10,537,545)       |
| <b>სულ</b>                             | <b>(320,166)</b> | <b>(9,728,428)</b> |

საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი) უმეტესწილად აშშ დოლარის კურსის მერყეობით იყო გამოწვეული. ჯგუფს გააჩნია აშშ დოლარში გაცემული სესხები, რომელთა ნაშთის ექვივალენტი თანხის ცვლილება იწვევს საკურსო სხვაობით მიღებული მოგებისა თუ ზარალის ეფექტს.

ცხრილში მოცემულია საკურსო სხვაობის წმინდა ეფექტი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მუხლებზე:

|                                                      | 2023             | 2022               |
|------------------------------------------------------|------------------|--------------------|
| საკურსო სხვაობის ეფექტი გაცემულ სესხებზე             | (323,928)        | (10,278,384)       |
| საკურსო სხვაობის ეფექტი კრედიტორულ დავალიანებაზე     | 33,692           | 604,773            |
| საკურსო სხვაობის ეფექტი დებიტორულ დავალიანებაზე      | -                | 25                 |
| საკურსო სხვაობის ეფექტი ფული და ფულის ექვივალენტებზე | (29,930)         | (54,842)           |
| <b>სულ</b>                                           | <b>(320,166)</b> | <b>(9,728,428)</b> |

### 5. ფული და ფულის ექვივალენტები

|                                 | 31 დეკემბერი 2023 | 31 დეკემბერი 2022 |
|---------------------------------|-------------------|-------------------|
| ფული ბანკში ადგილობრივ ვალუტაში | 7,644             | 4,346             |
| ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში     | 1,060,263         | 322,124           |
| <b>სულ</b>                      | <b>1,067,907</b>  | <b>326,469</b>    |

ზემოთ ჩამოთვლილი ანგარიშებს არ ერიცხებათ საპროცენტო შემოსავალი.

### 6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

|                                | 31 დეკემბერი 2023 | 31 დეკემბერი 2022 |
|--------------------------------|-------------------|-------------------|
| მოთხოვნები ფიზიკური პირებისგან | 14,450,432        | 10,425,689        |
| სხვა მოთხოვნები                | 2,311,118         | 1,913,706         |
| მიღებული ავანსები*             | 59,262,876        | 59,385,774        |
| <b>სულ</b>                     | <b>76,024,426</b> | <b>71,725,169</b> |

\* 2020 წლის 28 დეკემბერს ჯგუფმა გააფორმა წილის წინარე ნასყიდობის ხელშეკრულება შპს „საქართველოს ტურიზმის განვითარების ფონდთან“ (405033734), რომლის მიხედვითაც აიღო ვალდებულება შესაბამისი თანხის გადახდის შემდგომ ხელშეკრულების პირობების დაკმაყოფილების

შპს „ფინსერვისი-XXI“ ჯგუფი  
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
ქართულ ლარში

შემთხვევაში შეიძინოს შპს „თაბორი რიზორტის“ (405147755) 45% წილი, რომლის ღირებულება წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების დროისათვის შეადგენს 146,000,000 ლარს. 2023 წლის 1 დეკემბერს გაფორმებული შეთანხმების მიხედვით აღნიშნული თანხის გადახდის ვადაა არაუგვიანეს 2024 წლის 31 დეკემბერი. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფაქტიურად გადახდილი ავანსი შეადგენს 58,990,10 ლარს. (2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 58,990,10 ლარს.)

#### 7. სასაქონლო მატერიალური მარაგები

|                                               | 31 დეკემბერი 2023 | 31 დეკემბერი 2022 |
|-----------------------------------------------|-------------------|-------------------|
| საქონელი                                      | 7,055             | 6,965             |
| სანტექნიკის, ელექტრობის და სხვა მოწყობილობები | 1,037,109         | 756,608           |
| <b>სულ</b>                                    | <b>1,044,074</b>  | <b>763,573</b>    |

#### 8. გაცემული სესხები

|                      | 31 დეკემბერი 2023 | 31 დეკემბერი 2022 |
|----------------------|-------------------|-------------------|
| გრძელვადიანი სესხები | 43,390,000        | 43,705,000        |
| მოკლევადიანი სესხები | 15,291,623        | 14,037,925        |
| <b>სულ</b>           | <b>58,681,623</b> | <b>57,742,925</b> |



შპს „ფინსერვისი-XXI“ ჯგუფი  
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
ქართულ ლარში

გაცემული სესხები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემული ქვემოთ:

|                                   | ხელშ. თარიღი | დაფარვის<br>თარიღი | ნომინალური<br>საპროცენტო<br>განაკვეთი | ეფექტური<br>საპროცენტო<br>განაკვეთი | ვალუტა | ამორტიზირებული<br>ღირებულება (ლარი) |
|-----------------------------------|--------------|--------------------|---------------------------------------|-------------------------------------|--------|-------------------------------------|
| სს "ქართუ ბანკი"                  | 31-03-11     | 31-03-28           | 5,50%                                 | 5,50%                               | დოლარი | 13,447,000                          |
| სს "ქართუ ბანკი"                  | 19-04-21     | უვადო              | 5,50%                                 | 7,33%                               | დოლარი | 18,975,000                          |
| სს "ქართუ ბანკი"                  | 9/10/2020    | უვადო              | 5,50%                                 | 11,15%                              | დოლარი | 10,968,000                          |
| <b>სულ მისაღები ძირი</b>          |              |                    |                                       |                                     |        | <b>43,390,000</b>                   |
| <b>სულ საპროცენტო მოთხოვნა</b>    |              |                    |                                       |                                     |        | <b>-</b>                            |
| <b>სულ (გრძელვადიანი სესხები)</b> |              |                    |                                       |                                     |        | <b>43,390,000</b>                   |

|                                   | ხელშ. თარიღი | დაფარვის<br>თარიღი | ნომინალური<br>საპროცენტო<br>განაკვეთი | ეფექტური<br>საპროცენტო<br>განაკვეთი | ვალუტა | ამორტიზირებული<br>ღირებულება (ლარი) |
|-----------------------------------|--------------|--------------------|---------------------------------------|-------------------------------------|--------|-------------------------------------|
| შპს სანაპიროს ხედი                | 10/9/2020    | 12/31/2024         | 13%                                   | 13%                                 | ლარი   | 8,410,000                           |
| შპს სანაპიროს ხედი                | 6/1/2021     | 12/31/2024         | 8%                                    | 8%                                  | დოლარი | 1,237,124                           |
| შპს ქართული ჰოლდინგი              | 7/29/2022    | 12/31/2024         | 13.87%                                | 13.87%                              | ლარი   | 570,000                             |
| სს ქართუ ჯგუფი                    | 8/2/2021     | 12/31/2024         | 8%                                    | 8%                                  | დოლარი | 537,880                             |
| შპს ჯეოფერტ                       | 5/5/2021     | 12/31/2024         | 8%                                    | 8%                                  | დოლარი | 263,561                             |
| შპს სტუდიო                        | 12/25/2022   | 12/31/2024         | 8%                                    | 8%                                  | დოლარი | 127,810                             |
| სს „ქართუ ჯგუფი“                  | 2/8/2021     | 12/31/2024         | 11,00%                                | 11,00%                              | ლარი   | 40,000                              |
| <b>სულ მისაღები ძირი</b>          |              |                    |                                       |                                     |        | <b>11,186,375</b>                   |
| <b>სულ მისაღები პროცენტი</b>      |              |                    |                                       |                                     |        | <b>4,105,248</b>                    |
| <b>სულ (მოკლევადიანი სესხები)</b> |              |                    |                                       |                                     |        | <b>15,291,623</b>                   |

შპს „ფინსერვისი-XXI“ ჯგუფი  
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
ქართულ ლარში

გაცემული სესხები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემული ქვემოთ:

|                                   | ხელშ. თარიღი | დაფარვის<br>თარიღი | ნომინალური<br>საპროცენტო<br>განაკვეთი | ეფექტური<br>საპროცენტო<br>განაკვეთი | ვალუტა | ამორტიზირებული<br>დირებულება<br>(ლარი) |
|-----------------------------------|--------------|--------------------|---------------------------------------|-------------------------------------|--------|----------------------------------------|
| სს "ქართუ ბანკი"                  | 31-03-11     | 31-03-28           | 5,50%                                 | 5,50%                               | დოლარი | 13,510,000                             |
| სს "ქართუ ბანკი"                  | 19-04-21     | უვადო              | 5,50%                                 | 7,33%                               | დოლარი | 19,101,000                             |
| სს "ქართუ ბანკი"                  | 9/10/2020    | უვადო              | 5,50%                                 | 11,15%                              | დოლარი | 11,094,000                             |
| <b>სულ მისაღები ძირი</b>          |              |                    |                                       |                                     |        | <b>43,705,000</b>                      |
| <b>სულ საპროცენტო მოთხოვნა</b>    |              |                    |                                       |                                     |        | <b>-</b>                               |
| <b>სულ (გრძელვადიანი სესხები)</b> |              |                    |                                       |                                     |        | <b>43,705,000</b>                      |

|                                   | ხელშ. თარიღი | დაფარვის<br>თარიღი | ნომინალური<br>საპროცენტო<br>განაკვეთი | ეფექტური<br>საპროცენტო<br>განაკვეთი | ვალუტა | ამორტიზირებული<br>დირებულება<br>(ლარი) |
|-----------------------------------|--------------|--------------------|---------------------------------------|-------------------------------------|--------|----------------------------------------|
| შპს სანაპიროს ხედი                | 10/9/2020    | 12/31/2024         | 13%                                   | 13%                                 | ლარი   | 8,410,000                              |
| შპს სანაპიროს ხედი                | 6/1/2021     | 12/31/2024         | 8%                                    | 8%                                  | დოლარი | 1,242,920                              |
| შპს ქართული ჰოლდინგი              | 7/29/2022    | 12/31/2023         | 13.87%                                | 13.87%                              | ლარი   | 570,000                                |
| სს ქართუ ჯგუფი                    | 8/2/2021     | 12/31/2024         | 8%                                    | 8%                                  | დოლარი | 540,400                                |
| შპს ჯეოფერტ                       | 5/5/2021     | 12/31/2024         | 8%                                    | 8%                                  | დოლარი | 264,796                                |
| შპს სტუდიო                        | 12/25/2022   | 12/31/2024         | 8%                                    | 8%                                  | დოლარი | 135,100                                |
| სს „ქართუ ჯგუფი“                  | 2/8/2021     | 12/31/2023         | 11,00%                                | 11,00%                              | ლარი   | 125,000                                |
| <b>სულ მისაღები ძირი</b>          |              |                    |                                       |                                     |        | <b>11,288,216</b>                      |
| <b>სულ საპროცენტო მოთხოვნა</b>    |              |                    |                                       |                                     |        | <b>2,749,709</b>                       |
| <b>სულ (მოკლევადიანი სესხები)</b> |              |                    |                                       |                                     |        | <b>14,037,925</b>                      |

შპს „ფინსერვისი XXI“ ჯგუფი  
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების  
განმარტებითი შენიშვნები  
ქართულ ლარში

9. ძირითადი საშუალებები

| თვითღირებულება       | მიწა       | დაუმთავრებელი<br>მშენებლობა | შენობები   | ოფისის<br>აღჭურვილობა | მანქანა-<br>დანადგარები | ავეჯი და<br>სხვა<br>ინვენტარი | სატრანსპორტო<br>საშუალებები | ხელოვნების<br>ნიმუშები | მცენარეები<br>და<br>ცხოველები | სხვა      | სულ         |
|----------------------|------------|-----------------------------|------------|-----------------------|-------------------------|-------------------------------|-----------------------------|------------------------|-------------------------------|-----------|-------------|
| 31 დეკემბერი 2021    | 11,386,648 | 357,010                     | 13,075,488 | 2,927,120             | 3,421,011               | 8,239,547                     | 706,126                     | 5,563,052              | 2,842,514                     | 1,958,410 | 50,476,926  |
| შეძენა               | -          | -                           | 357,010    | 146,388               | -                       | 246,811                       | -                           | -                      | -                             | 48,276    | 798,484     |
| რეალიზაცია           | (842,568)  | (357,010)                   | -          | -                     | -                       | -                             | -                           | -                      | -                             | -         | (1,199,578) |
| 31 დეკემბერი 2022    | 10,544,081 | -                           | 13,432,498 | 3,073,508             | 3,421,011               | 8,486,357                     | 706,126                     | 5,563,052              | 2,842,514                     | 2,006,686 | 50,075,832  |
| შეძენა               | -          | -                           | 45,574     | 41,046                | 11,607                  | 955,929                       | -                           | -                      | 729,501                       | 62,301    | 1,845,858   |
| რეალიზაცია           | -          | -                           | -          | -                     | -                       | -                             | -                           | -                      | -                             | -         | -           |
| 31 დეკემბერი 2023    | 10,544,081 | -                           | 13,478,073 | 3,114,554             | 3,432,617               | 9,442,186                     | 706,126                     | 5,563,052              | 3,572,015                     | 2,068,987 | 51,921,691  |
| აკუმულირებული ცვთა   |            |                             |            |                       |                         |                               |                             |                        |                               |           |             |
| 31 დეკემბერი 2021    | -          | -                           | 3,388,913  | 2,652,076             | 2,100,624               | 7,293,609                     | 227,042                     | -                      | 1,140,156                     | 1,124,922 | 17,927,342  |
| დარიცხული ცვთა       | -          | -                           | 417,050    | 89,498                | 130,553                 | 263,423                       | 30,308                      | -                      | 178,328                       | 133,147   | 1,242,307   |
| რეალიზაცია           | -          | -                           | -          | -                     | -                       | -                             | -                           | -                      | -                             | -         | -           |
| 31 დეკემბერი 2022    | -          | -                           | 3,805,962  | 2,741,574             | 2,231,176               | 7,557,033                     | 257,350                     | -                      | 1,318,483                     | 1,258,070 | 19,169,649  |
| დარიცხული ცვთა       | -          | -                           | 418,986    | 87,055                | 126,686                 | 307,180                       | 30,308                      | -                      | 203,480                       | 135,244   | 1,308,938   |
